კლიმატის ცვლილების დროს:

- ✓ შეიცვლება და გადაგვარდება ეკოსისტემები, უმრავლესობა გაქრება;
- ✓ შეიცვლება ან გაქრება ცხოველთა და მცენარეთა სახეობების გავრცელების არე;
- ✓ შეიცვლება კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელი კლიმატი;
- ✓ გახშირდება ბუნებრივი მოვლენები (წყალდიდობები, გვალვა, შტორმი და ქარიშხალი.
- ✓ გახშირდება ტყის ხანძრები;
- ✓ შეამცირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე ნიადაგების გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ.
- ✓ აიწევს ზღვის დონე;
- ✓ გართულდება ადამიანის ჯანმრთელობა;
- ✓ გახშირდება ინფექციური (გადამდები) დაავადებები, ალერგიები;
- ✓ და ა.შ.

* * *

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ეროვნული კლიმატის პოლიტიკის განხორციელების“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს მიერ, „დედამიწის მეგობრები-გერმანია“ (BUND), თანამშრომლობით, „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს (BMU) მხარდაჭერით.

* * *

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო,“, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნას მიჩნეული დონორთა მოსაზრებად.

ფოტომასალა მოძიებულია GOOGLE.COM ელექტრონული პლატფორმიდან

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

თბილისი, სლავა მეტრეველის N4. 0112

ტელ: (+995 32) 2 30 62 21
ელ. ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge

კლიმატის კვირეული საქართველოში

იმოქმედე კლიმატისთვის!

Friends of the Earth Georgia

Supported by:
Federal Ministry for the Environment, Nature Conservation and Nuclear Safety
based on a decision of the German Bundestag

Bund für Umwelt und Naturschutz Deutschland
BUND
FRIENDS OF THE EARTH GERMANY

დღეს, მსოფლიო საზოგადოება აქტიურად საუბრობს გლობალური დათბობით გამოწვეულ კლიმატის ცვლილებაზე. საზოგადოების მხრიდან ხშირად ისმის: ძალიან დათბა... როგორი ცხელი თვე იყო... რატომ გახშირდა ბუნებრივი კატასროფები... რატომ შემცირდა მოსავლიანობა... გაუარესდა ადამიანის ჯანმრთელობა... და ა. შ.

დღეს ყველა ვაღიარებთ, რომ კლიმატის ცვლილება დადასტურებული პროცესია და ის გამოწვეულია დედამიწის ატმოსფეროში ზოგიერთი გაზის გადამეტებული კონცენტრაციით. ამიტომ, მსოფლიო საზოგადოება თანხმდება გაერიანდეს და აქტიურად იმოქმედოს მიმდინარე კლიმატის ცვლილების პროცესების შესარბილებლად.

ამ მიზნით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანში, ადგილობრივი მთავრობების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლების მიერ 2019 წლის სექტემბერში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტარდება „კლიმატის კვირეული-2019“. კვირეულის ფარგლებშიც დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები, ფლეშმობები, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, მსვლელობები და ა.შ.

მთავრი იდეა კი მდგომარეობს იმაში, რომ:

- მსოფლიოს საზოგადოება კიდევ ერთხელ გაერთიანდეს კლიმატის ცვლილების პროცესების შესამცირებლად;



- მსოფლიო მთავრობებმა აიღონ ვალდებულება ეკონომიკური განვითარების პარალელურად, შეამცირონ კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის გაფრქვევები დაბალემისიიანი განვითარების გზით;
- შეზღუდონ გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდა 2^0C-მდე პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით;
- დაგეგმონ კლიმატის ცვილებასთან ადაპტირების ღონისძიებები;
- მოიძიონ ფინანსური რესურსები, სათბური გაზების ემისიების შემცირებისა და კლიმატმედეგი განვითარებისათვის და ა.შ.

* * *

„კლიმატის კვირეული 2019“ სტარტს აიღებს 23 სექტემბერს, ნიუიორკიდან და გაგრძელდება 29 სექტემბრის ჩათვლით. მიმდინარე კლიმატის კვირეული ერთერთი მასშტაბური აქტივობაა, რომელიც ხორციელდება მთელს მსოფლიოში და მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები 150-ჯერ აღემატება წინა წლებში ჩატარებულ ღონისძიებებს.

კლიმატის კვირეული 2019“ ხორციელდება გაეროს ორგანიზებით.

მსოფლიოში დაგეგმილი "კლიმატის კვირეული-2019“-ის პარალელურად, საქართველოში, მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს ორგანიზებით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ეროვნული კლიმატის პოლიტიკის განხორციელების“ ფარგლებში, 27 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს უმრავლეს რეგიონსა და ქალაქში გაიმართება სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მსვლელობები, ფლეშმობი, სემინარები, შეხვერები, აქციები, გაკვეთილები სკოლის მოსწავლეებისათვის და ა.შ.

* * *

იაქტიურე შენც!

ჩაერთე კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესებში!

გაიგე მეტი კლიმატის კვირეულის ორგანიზატორებისაგან და გაუზიარე სხვას!

გახდი აქტიური კლიმატის დასაცავად!

ხვალინდელი დღე ყველასია!

ერთად ვიზრუნოთ გარემოზე!